

ენათმეცნიერება Linguistic

ალერსისა და მოფერების გამომხატველი ლექსიკა ოტია იოსელიანის
შემოქმედებაში

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

manana.mikadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.3109>

SJIF 2024: 8.268

მოფერება-ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი ალერსი არის სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, მოფერება, ხოლო ის ვინც ალერსი იცის, ვისაც ალერსი სჩვევია, არის ალერსიანი (ქეგლი). სულხან-საბა ორბელიანთან ალერსი განმარტებულია, როგორც სიტყვით შექცევა (ორბელიანი 1993:23). ამ სემანტიკურ ველში განვიხილეთ ალერსი, ალერსიანი, ის ვინც ეალერსება და ვისაც ეალერსება; ალერსის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოფერება-ალერსის მნიშვნელობით გამოიყენება, პირფერი, პირფერობა, პირფერობს; აგრეთვე ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დასტურდება ამ სემანტიკურ ველში. ალერსი: ფერება, ფერობა, სიყვარულობა, ლამუნი, ლაციცი, ფოფინი, თათუნი, ცაცუნი, ღლაბუცი; ალერსიანი: მოალერსე, მომფერებელი, დამყვავებელი; საფერებელი, საფერაო, სალოლიავო; მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები: პატარა, პაწაწა, პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; ნამცეცა, ნალევა, ნაგალა, მოცუცქნული, პუჭურა, ბუჭურა, მინიატურული, მორჩილი, ცუცნა-კუცნა, ცუცუნა, თითის სიგრძე, თითისოდენა, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, კრუხის პალო... საალერსო სიტყვებად ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგევლე, (შენ) შემოგევლე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! თავს შემოგევლე! შენ შემოგევლე! შენი კუჭისა! მიტირე, მტლად დაგედე, ჭირი მოგჭამე, ჭირი მოგპარე, დედაშვილობამ და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ალერსი, მოფერება, სინონიმური ველი

მოფერება-ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი ალერსი არის სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, მოფერება, ხოლო ის ვინც ალერსი იცის, ვისაც ალერსი სჩვევია, არის

ალერსიანი (ქეგლი). სულხან-საბა ორბელიანთან ალერსი განმარტებულია, როგორც სიტყვით შექცევა (ორბელიანი 1993:23). ამ სემანტიკურ ველში განვიხილეთ ალერსი, ალერსიანი, ის ვინც ეალერსება და ვისაც ეალერსება; ალერსის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოფერება-ალერსის მნიშვნელობით გამოიყენება, პირფერი, პირფერობა, პირფერობს; აგრეთვე ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დასტურდება ამ სემანტიკურ ველში. ალერსი: ფერება, ფერობა, სიყვარულობა, ლამუნი, ლაციცი, ფოფინი, თათუნი, ცაცუნი, ღლაბუცი; ალერსიანი: მოალერსე, მომფერებელი, დამყავებელი; საფერებელი, საფერაო, სალოლიავო; მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები: პატარა, პაწაწა, პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; ნამცეცა, ნალევა, ნაგალა, მოცუცქნული, პუჭურა, ბუჭულა, მინიატურული, მორჩილი, ცუცნა-კუკნა, ცუცუნა, თითის სიგრძე, თითისოდენა, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, კრუხის პალო... საალერსო სიტყვებად ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგველე, (შენ) შემოგველე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! თავს შემოგველე! შენ შემოგველე! შენი კუჭისა! მიტირე, მტლად დაგედე, ჭირი მოგჭამე, ჭირი მოგპარე, დედაშვილობამ და ა.შ. გენაცვალე - ქართულ ენაში ალერსის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება, რომლის საშუალებითაც მთქმელი გამოხატავს სურვილს „მის სანაცვლოდ იყო“, ე.ი. მიმართვის ფორმით გამოხატულია სურვილი, გაიზიაროს ადრესატის ჭირი. თავს შემოგველე, შენ შემოგველე - „ეს გამოთქმა წარმოიშვა შემდეგი ადათიდან: ძველად თუ ვინმე ავად გახდებოდა და ოჯახის წევრებს ეგონათ, რომ მოკვდებოდა, ავადმყოფის სიკვდილისაგან დასახსნელად ოჯახის წევრები თავს ევლებოდნენ, რომ ავადმყოფის მაგიერ თვითონ შეგებებოდნენ სიკვდილს და თვითონ კი სწირავდნენ (წირვას ალაგლენდნენ) ავადმყოფის გასაგონად (გრიშაშვილი ი. 1997:304). ჭირიმე - გამოთქმა, რომელიც იხმარება ალერსით, სიყვარულით მიმართვისას, შედგენილია სიტყვებისაგან ჭირი და მე, მნიშვნელობით იგივეა, რაც შენი (თქვენი) ჭირიმე. ჭირიმე! - გამოთქმა იხმარება, როდესაც აღტაცებული არიან ვისიმე ვაჟკაცური მოქცევით (ქეგლი). საალერსო მიმართვებია - შენი კვნესამე; კესანე. ამ სიტყვა-ფორმების სემანტიკაც იგივეა, რაც შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, რომლითაც მთქმელი გამოხატავს საყვარელი ადამიანის ჭირის გაზიარების სურვილს. კესანე - პატარა, ცისფერყვავილებიანი, ლამაზი მცენარეა. ყვავილთან დაკავშირებით არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც ყველა მცენარეს შემოქმედმა თავისი სახელი უწოდა. მათ შორის ერთი პაწაწინა მთის ყვავილი, რომელიც უსახელოდ იყო - ატირდა. ყვავილმა თქვა: „არ დამივიწყო უფალო“... ზუსტად მაშინ უფალმა მიუგო: „სწორედ ეგ იქნება შენი სახელი“, ანუ კესანე. ამის შემდეგ მას მსოფლიოს ყველა ენაზე „არ დამივიწყო“ ჰქვია... ჩვენთვის კი უბრალოდ კესანე... (<http://intermedia.ge/> სტატია/74879). ამ პატარა, ლამაზ ყვავილს ლექსი მიუძღვნა ქართველმა მწერალმა გიორგი ლეონიძემ. ალერსის გამომხატველ სინონიმებში ერთ-ერთ კომპონენტად გამოიყენება პირის ნაცვალსახელები. მეორე პირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები და პირველი

პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც ქმნის კომბინაციებს გასუბსტანტივებულ ზედსართავსა და არსებით სახელთან: შენ შემოგველე, შენი (თქვენი) ჭირიმე, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო ყველავე, ჩემო სულისდგმავ, ჩემო საყვარელო... ყველა საალერსო ფორმას ერთი სემანტიკა აქვს, ისინი მიმართვის ობიექტის ჭირის გაზიარების, მის ადგილზე ყოფნის, მისი ავადმყოფობის მორჩენის სურვილს გამოხატავენ.

აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებს მწერალი ოტია იოსელიანი მეტ-ნაკლები ოდენობით გამოიყენებს თავის ძალიან მრავალმხრივ შემოქმედებაში, მაგალითებს წარმოვადგენთ:

პირფერობა - იგი ახლა ღალატით, გაიმვერობით, ორგულობითა და **პირფერობით** ისე იყო აღვსილი ...(ქალი გამოვიდა საღალატოდ, 391,17)

პირფერულად - ბარდლა: (**პირფერულად**) აქ უცხო ვინმე რომ იყოს, მართალი ეგონებოდა (გამოქვაბული, IV-4, 335, 18).

პატარა - „რა **პატარა** ხარ, ჩემო სამშობლოვ, და რამოდენა მსხვერპლს მოითხოვ“!.. (ჩემი თეატრი, 381, 28); გადაურჩინოს წარსული, ტკბილ-მწარე ბავშვობა – **პატარა** მაკა (იყო ერთი ქალი, 335, 2);

თითისტოლა - მოდი, ასე ვიზამ: ჯაყვით, საზამთროს პატარა, ნეკა **თითისტოლა** ოთხკუთხედ საცობებს ამოვჭრი, თუ გამოდგა, მოვკრეფ, თუ არა და, ისევ დავუცვამ (ნესვი და საზამთრო, 97, 23); ამოდენა ტვირთს სოფლიდან სოფლამდე **თითისტოლა** ბალდი კი არა, მოწიფული ვერ შეძლებსო (ნესვი და საზამთრო, 98, 28);

ცუცნა - ეს ერთი **ცუცნა** ქალი, ისე რავა წავხდები, ვერ გზიდა... ((შავი და ცისფერი მდინარე, I, 634,17).

ციდა - ყველაფერი ყველაფერი, ყველასაგან მოველოდი, მაგრამ ამ ერთმა **ციდა** გოგომ რავა მიქნა ეს!.. (აკაციის ყვავილობა, 120, 18); მოუხვეველ ვაზს **ციდა** ყლორტები ჰქონდა წაყრილი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 77,33);

ჭირიმე - მატა, მატას **ჭირიმე**, დამინებოდა, წლისოდენა დღეა ზაფხულის დღე, მიდგომოდა მზე და მთელი სხეული ეწვოდა (ჩემი ძუძუმტეები, 299, 18); შენში რა... მაკას **ჭირიმე**, შენ ეს ამბავი არც იცოდი...(იყო ერთი ქალი, 350, 1); -რა კითხა, ბაკურის **ჭირიმე**, ამ ძაღლმა იმ მამაძაღლს? (შავი და ცისფერი მდინარე, I, 423, 34); სერაფიონი: ახლავე, მინაგოს **ჭირიმე!** (ადამიანი იბადება ერთხელ, 38, 15);

შენი ჭირიმე, - -ჯერ არ გინდა, **შენი ჭირიმე**, შენი... პატარა მომათქმევი სული (ქალი მაინც ქალია, 44, 25); **შენი ჭირიმე!** - წამოვარდა და კისერზე მოეხვია. - **შენი ჭირიმე**, ბებია, შენ გენაცვალე! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 148,8); **თქვენი ჭირიმე** - ორივემ „მადლობა, **თქვენი ჭირიმე**, მადლობა, თქვენ გენაცვალეთო“ მერცხლებივით დაიჭიკჭიკეს (შავი და ცისფერი მდინარე,

I, 189,18);**შენი ჭირი შემეყაროს** - მოვხუცდი, შვილო, ნაადრევად მოვხუცდი, **შენი ჭირი შემეყაროს!** (თეთრი ქალიშვილი, 110, 17); - აქეთ წამოდი, **შენი ჭირი შემეყაროს**, - მომესმა თებროს ხმა და საწოლისაკენ გამიძღვა (თეთრი ქალიშვილი, 114, 24);

გენაცვა - გურამი: ახლა ნახეს, **გენაცვა**, ერთმანეთი და ახლა გაიგეს ჩვენს საამქროში რა უბედურება დატრიალდა (ყრუ ღმერთები, 514, 38); გურამი: მე იქ სულ არ ვიყავი, ანგი, **გენაცვა**, იქ ვიყავი?..(ყრუ ღმერთები, 530, 3); გურამი: **გენაცვა**, არ ცოდნა არ ცოდვაა (ყრუ ღმერთები, 540, 14); გურამი: ან მე კიდეც.. **გენაცვათ**, ეგ მე რომ მექნა, ან ვინმეს... (ყრუ ღმერთები, 530, 26).

გენაცვალე - აბა მიწვევა, მოწვევა, მოზოდინება, შენი ჭირიმე, შენ **გენაცვალე** და გაიმართა მილოცვა (ეპიტაფია, 45,5); - ერთი, **გენაცვალე**, დეპეშა მიიღეთ! - მივვარდი სადგურის საფოსტო განყოფილებაში (ცეცხლთან თამაში,157, 22); - დეიდა, **გენაცვალე**, დეიდა, შემოგველე...(ხუმრობა, 185, 8); სახელად და მშვენებად: **გენაცვალე**, ვაზის ძირო, შე ბრუნდე და შე ლამაზო (გრიგოლ ბაბუა, 359, 15); -მერი, **გენაცვალე**, ბავშვმა თუ გაიღვიძოს, დამიძახე! (იყო ერთი ქალი, 365, 1); -ვინ ხართ თქვენ, **გენაცვალე**, და რას დაეძებთ აქ? (შავი და ცისფერი მდინარე, I, 448,33);

გეთაყვა - **გეთაყვა**, სიტყვაზე მოგახსენეთ (შავი და ცისფერი მდინარე, I, 543,2); -**გეთაყვა** ახალი რამ გვინდა (შავი და ცისფერი მდინარე, I, 543,5); გურამი: **გეთაყვა**, მე ამიტომაც არც ოსტატობას ვიჩემებ და არც მუშის ხალათს (ყრუ ღმერთები, 541, 1).

დაგენაცვლე! - ვაიმე, **დაგენაცვლე**, რას მაღირსა ღმერთმა და შენი მიმტოვებელი ვარ (შავი და ცისფერი მდინარე, I, 285,29); -**დაგენაცვლე**, ამიტომ წაიკიდებოდნენ, აბა, სანამ ქუთაისის მწვანე ბაზარში ფოთლით ვვაჭრობდი, მთელ ხროვას გავაღვიძებდი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 286,20);-ვაიმე, **დაგენაცვლე**, რაც თავი მახსოვს ორი ფეხი ჰქონდა კაციშვილს (შავი და ცისფერი მდინარე, I, 286,29); -ვეკიდე, **დაგენაცვლე**, იქნება ამ ჩვენზე უბედურ ბადრაგებიდან რაიმეს ყური მოვკრა-მეთქი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 287,4);

დედაშვილობამ - მართა: სერაფიონ, მარანში და... ბაჭუა, **დედაშვილობამ**, გაყევი სერაფიონს და ჩამოასხით.... (ადამიანი იზადება ერთხელ, 59, 7); მოხუცი:- **დედაშვილობამ**, ანგრევთ აქაურობას?!(ყრუ ღმერთები, 505, 34); მოხუცი: (ჟუტუს და კახას) **დედაშვილობამ**, არ დააგდო და არც მიყუდო, ეს რკინები... (ყრუ ღმერთები, 512, 7); მოხუცი: **დედაშვილობამ** ... შენს გახარებას (თქმა მართლისა, 399,7); მოხუცი: **დედაშვილობამ** ... (თქმა მართლისა, 400,30); მოხუცი: (რეკავს ტელეფონის ზარი) **დედაშვილობამ**, არა ... (თქმა მართლისა, 401,24); - ჟურნალი, **დედაშვილობამ**, ბოლო ნომერი „სკოლა და ცხოვრება” მიყიდე (ქალი აგარაკზე, 333, 19);

დედაშვილობას - ჩამოდი, **დედაშვილობას**, კაცი რომ ეზოში ჩავა, ხე გაიცინებს (თეთრი ქალიშვილი, 110, 29); -მოხუცი: ნუ მიწყენ ... **დედაშვილობას**, ნუ მიწყენ ..ნურც ნურავის გაუჯავრდები (თქმა მართლისა, 400,13);

დედაშვილობას გაფიცებ - - მოხუცი: იმნაირი, ჩემი და ჩემისთანების შველა რომ შეეძლოს, თუ გეგულება, ცხრა მთას იქით რომ იყოს, **დედაშვილობას გაფიცებ**, არ დამიძალო (თქმა მართლისა, 406,4); -დაწყნარდი, შვილო, **დედაშვილობას გაფიცებ**, შვილო!.. (შავი და ცისფერი

მდინარე, 115,20); მოხუცი: იმნაირი, ჩემი და ჩემისთანების შველა რომ შეეძლოს, თუ გეგულება, ცხრა მთას იქით რომ იყოს, **დედაშვილობას გაფიცებ**, არ დამიმალო (თქმა მართლისა, 406,3);

ქართულ ენაში მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები გადმოცემულია -ა, - ინა, - უნა, -ელა, -ული სუფიქსებით, რომლებიც ძირითადად ბავშვთან ასოცირებულ მოფერება-კნინობით სიტყვებს წარმოადგენენ: პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; მოცუცქნული და ა.შ. მოფერება-ალერსის გარდა ზოგიერთი მათგანი უარყოფითი ემოციის გამომხატველია. უარყოფითი ემოცია, დაცინვა-დამცირება ან ირონია დაკავშირებულია ზომის სიმცირესთან: კრუხის პალო, თითის სიგრძე, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, რომლებიც პატარა ტანის ადამიანის სინონიმებად გამოიყენება. მოფერება-ალერსის სინონიმურ ველში ვხვდებით დაცინვა-დამცირების ან ირონიის გამომხატველ სინონიმურ ერთეულებს, რომლებიც, ძირითადად, ზომის სიმცირეს უკავშირდება: ჯუჯა; დაბალტანიაანი; დადაბლებული, ჩვეულებრივზე ბევრად პატარა, ლილიპუტი, და ა.შ. როგორც სინონიმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, უნივერსალურია საალერსო მიმართვის ფორმებში გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელებისა და ზოონიმების გამოყენება. თუმცა, ადგილი აქვს ინდივიდუალიზაციას, რაც, რა თქმა უნდა, თითოეულის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ქართულში - შენი კუჭისა! მიტირე / მტლად დაგდე / ჭირი მოგჭამე / ჭირი მოგპარე და ა.შ.

ქვემოთ წარმოდგენილია, ზემოთაღნიშნული ლექსიკური ერთეულებიდან მწერალ ო. იოსელიანის მიერ საკუთარ პროზაში გამოყენებული სიტყვები:

პაწაწინა - ცელქი კი, მაგრამ ასე **პაწაწინა** თიკნის მარტო ხეტიალი გაგონილა?! (არვეს ხიზანი,32,6); და **პაწაწინა** კუდს ისე მოხდენილად აქიცინებდა, თვალს ვერ მოსწყვიტავდი... (არვეს ხიზანი,33,12); და დილაუთენია, ხავსივით დატალული კლდის ძირში ანთებული **პაწაწინა** მზე და ის ჟანგისფერი ტინის ცრემლი ისე მოუნდა, აღარაფერი დაემი (მეწინავე, 97,17);

პაწია - უგულისყუროდ, **პაწია** თითებით ათამაშებს ხუთ მრგვალ კენჭს (თამაში, 60,25); ბოლოს **პაწია**, მშვენიერ ეზოში შევდიოდი (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 173,7); აივნის შიგნით სრული და აივნის თავში **პაწია**, სულ **პაწია** ოთახი იყო, ეტყობოდა, მერე მიშენებული (ცია, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 173,12-13); ბავშვი ძუმუს ეცა და ზედ ორივე **პაწია** ხელი შემოხვია (ვარსკვლავთცვენა, 408, 20);

პაჭუა - ბანჯგვლიან ხელებს პარჭყავენ, საშინლად მანჭავენ სახეს და **პაჭუა** ცხვირით ყნოსავენ დანიელს, ღვთის სუნი ხომ არ უდისო (ტყვეთა ტყვე, 504, 30); **პაჭუა** ცხვირი, მაგრამ უამურობისა და სიავის გამო აზხეკილი კი არა, ვნებიანი და გამომწვევი - როგორ შეიძლება არ მოგწონდეო (შავი და ცისფერი მდინარე, I, 187, 11); ჩემი **პაჭუა** ცხვირი და ჭორფლიანი სახე იმასთან რა სახსენებელია! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 187, 27).

თითის სიგრძე - მაგრამ ამ მოკლე შარვლიანი, გატრუსული, თვალატირებული, **თითის სიგრძე** ჭინკა ბიჭის გადამკიდე, მთელი დღე მუცელცარიელს როგორ ერბინა?! (შავი და თეთრი

ძროხა, 65, 29); პირდაპირ ტყვიასავით მომაფრინდა **თითის სიგრძე** შავი ფინია (აკაციის ყვავილობა, 140, 28); ჯარასავით ვტრიალებ, მაგრამ ამ ბნელში შავი, **თითის სიგრძე** ძაღლის გარჩევა არ გინდა?! (აკაციის ყვავილობა, 140, 31);

დალოცვის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი. ამ ჯგუფში განვიხილეთ, აგრეთვე, დალოცვის სემანტიკის მქონე სინონიმთა შემდეგი ჯგუფები: ლოცვა - ის, ვინც ლოცვას აღავლენს ვინმეს შესაწევნად, ღვთისთვის შესავედრებლად, უფალს ვინმეს სიკეთეს, ბედნიერებას შეთხოვს; სიკეთის, ბედნიერების სურვება, გზის დალოცვა, კეთილი მომავლის სურვება, ცხოვრების გზის დალოცვა. დალოცვილი - ვინც (რაც) დალოცეს, დაილოცა; საყვედური ვინმეს მიმართ (შე დალოცვილო). ლოცვა, ეს არის მიზანმიმართული სიტყვა-ფორმა, რომლის დროსაც ადამიანი დადებით ენერჯიას აგზავნის კოსმოსში, იმ იმედით, რომ გარკვეული დროის შემდეგ უკან დაუბრუნდება მლოცველსაც და მისი ლოცვის ობიექტსაც. დალოცვის შემდეგ სინონიმებს ვხვდებით ქართულში: კურთხევა, ლოცვა, ლოცვაკურთხევა, დამწყალობლება, მადლი; დალოცვილი, კურთხეული, ნაკურთხი, მიმადლებული, მადლიანი, ბარაქიანი, ხელხვავიანი, ხვავრიელი, გამოსავლიანი; დალოცავს, დაილოცავს, დაილოცება, ადღეგრძელებს; ნაკურთხი, კურთხეული, ნათელცხებული, მირონცხებული, ხელ(თ)დასმული და ა.შ. დალოცვა მრავალი სახისა არსებობს: „ღმერთმა დაგლოცოს, გაგახაროს, გაგამლიეროს“, „ღმერთმა მოგანიჭოს ჯანმრთელობა და მრავალჟამიერი სიცოცხლე“, „უფალმა არ მოგაკლოს თავისი წყალობა და მშვიდობა“, „ღმერთს ებარებოდეთ“, „წყალობა, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული სუფევდეს შენ თანა“, „ღმერთმა გამარჯვებით გატაროს“, „ღმერთმა ხელი მოგიმართოს“ და მრავალი სხვა. „მთავარია, დალოცვა გულიდან მომდინარეობდეს, მხოლოდ მაშინ შეიტანთ სხვის ოჯახში სიხარულსა და მშვიდობას, სანაცვლოდ კი თქვენი სახლიც ბარაქით, სიყვარულითა და სიხარულით აივსება“ (ილია II, ეპისტოლენი, ქადაგებანი, სიტყვანი (ნაწილი III, 2005). დალოცვა ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი ჟანრია. ყველაზე გავრცელებული იყო საქორწინო და სუფრული დალოცვები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი ეკავათ მესტვირეთა რეპერტუარში (ბარდაველიძე ჯ. 1978: 351). დალოცვის ერთ-ერთი ფორმა სადღეგრძელო, ანუ სუფრული დალოცვა, ჩვენს ყოფაში ძლიერად არის დამკვიდრებული. სპეციფიკური ნიშნების გარდა, სადღეგრძელოს გააჩნია დალოცვის ფუნქციაც. დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, აკაკი წერეთელმა, შესანიშნავად იცოდა, რომ ქართული სუფრის ერთ-ერთი ატრიბუტი სადღეგრძელოა. იგი სადღეგრძელოს აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ანიჭებდა. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ჩართული დალოცვა/სადღეგრძელოები პატრიოტულ, დიდაქტიკურ-აღმზრდელობით ფუნქციას ემსახურებოდა. ქართული დალოცვის ფორმებში აუცილებელ კომპონენტად წარმოდგენილია „ღმერთი“: ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა მიცოცხლოს შენი (თქვენი) თავი. დალოცვის დროს უსურვებენ გამრავლებას, ხვავს, ბარაქას; სიცოცხლეს, დღეგრძელობას: იდღეგრძელოს!

იცოცხლეთ! იდღეგრძელეთ! ზოგადად, დალოცვის სემანტიკის მქონე გამოთქმები დიფერენცირებულია ასაკის, ნათესაური დამოკიდებულების, სიტუაციის და ა. შ. მიხედვით.

მტლად დაგედება - ვედრებად: მტლად **დაგედები** შვილივით საფიცარ-სალოცავსა-ო...(გრიგოლ ბაბუა, 359, 19).

ღმერთი - სულხანი: ქალი ხარ, **ღმერთი** დედობას გაღირსებს! (გასროლა კაჟიანი თოფით, 496, 28); დიდპაპა: **ღმერთი** ინებებს თქვენს მშვიდობით მობრძანებას...(გასროლა კაჟიანი თოფით, 500, 17); **ღმერთი** შენთანაა და ნუ გეშინია, **გაგაძლებინებს** ერთხან (ღმერთის გამოცხადება, 333, 1); **ღმერთი** იყოს ჩვენი მფარველი! (რწმენის თაობაზე, 74, 4); **ღმერთი იყოს** თქვენი, ჩემი და ყველა მოგზაურის მფარველი! (გზის გაკვლევის ამბავი, 131, 25).

ღმერთმა აბედნიეროს! - მართა: წაიყვანე და წადით...წადით... ივლითი, წადით და **ღმერთმა აბედნიეროს!** (ადამიანი იბადება ერთხელ, 56, 28); კარპე: მომილოცავს ნათლია, **ღმერთმა** გიბედნიეროს! (სანამ ურემი გადაბრუნდება, 105, 18).

აგაშენა ღმერთმა! - - **აგაშენა ღმერთმა!** მარა ვაჟკაცურად, მეც კაცი ვარ! (ჯარისკაცი დაბრუნდა, 397, 32); ... შენ **აგაშენა ღმერთმა**, გუნებაზე არ მომიყვანეო?! (ავტობიოგრაფიული ნოველა, 6,9); **-აგაშენათ ღმერთმა!** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვარ, 42, 5).

ღმერთმა აცოცხლოს - სულ ცოტა, ნათელი დაადგათ, აღათისაც და ანეტასაც, მაშოსაც, **ღმერთმა აცოცხლოს**, თეოლინესაც...(მათე და ერმილე, 220, 13).

აცხონოს ღმერთმა - **აცხონოს ღმერთმა**, რაღა იყო მისი სიცოცხლეო (ხარები, ანუ ერთი დღის სიბრძნე, 308, 1); - ე, **გიცხონა ღმერთმა!** ელპიტე გვინდა-მეთქი, ხომ ვამბობდი?...**(მგზავრები, 126, 22); აცხონა ღმერთმა!..** ან დურგალი სადაა და ან კალატოზი (გედის სიმღერა, 187, 16).

ღმერთმა გაანათლოს - **ღმერთმა გაანათლოს** იმისი სული... (ია, 32, 32).

ღმერთმა გაახარა! - **გაახარა ღმერთმა!** - დალოცა რუსუდანმა მულის ქმარი, მამუკას გმირობა და სახელი რომ ახარებდა (შავი და ცისფერი მდინარე, II, 91, 2).

ღმერთმა გაუმარჯოს! - **ღმერთმა გაგიმარჯოს**, ჩემო ბატონო! - თებრომ ისევ კალათისაკენ დააპირა გაბრუნება, რომ ახლა მოვიკითხე (თეთრი ქალიშვილი, 110,13); - ეს **ღმერთმა გაუმარჯოს...** სადაა ღმერთი...(ზამთარი, 271, 31); **-ღმერთმა გაუმარჯოს-სოო!** - აუპარპალ-აუციმციმდა ნოეს გაგრეცილი ცისფერი თვალეზი (გედის სიმღერა, 224, 12).

ღმერთმა გამარჯვებული ამყოფოს!-**ღმერთმა გამარჯვებული ამყოფოს** ჩემი მაკა! (იყო ერთი ქალი, 445, 15);

დალოცა ღმერთმა! - **დალოცა ღმერთმა...** (ტყვეთა ტყვე, 6, 21).

ღმერთმა ნუ მოგიშალთ! - -იმედი **ღმერთმა ნუ მოგიშალთ** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 41, 30).

ღმერთმა გაცოცხლა! - **ღმერთმა**, -ა, **გაცოცხლა ღმერთმა**, ბიცოლა! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 76, 5).

ღმერთმა გზა მართალს არების! მოხუცი: **ღმერთმა გზა მართალს გარების ...** (თქმა მართლისა, 402,15); მოხუცი: შვილო, **ღმერთმა გზამართალს გატაროს** (ყრუ ღმერთები, 521, 34).

ღმერთმა დაიფაროს! - მაგრამ ავადმყოფობისაგან **ღმერთმა დაგიფაროთ** და საავადმყოფო ხომ მოგეხსენებათ (ხუმრობა, 189, 16); ჩვენი მეწისქვილე... **დაგიფაროს ღმერთმა!** (ომი და სიხარული, 221, 6); **ღმერთმა დაიფაროს**, მარა დედაკაცმა თუ გაიწია... (ია, 31, 32).

დალოცა ღმერთმა - დალოცა ღმერთმა, ღელეა, სადაც დაჰკრავ ფეხს, იქ გადაახტები (ღმერთის გამოცხადება, 335,4); **ღმერთმა დალოცა** მრავალშვილიანი ოჯახი, კიდევ შვიდი დედ-მამისშვილია (კოლია ბოჭორიშვილი, 403,34); **დაგლოცოთ ღმერთმა** და იესო ქრისტე მაცხოვარმა, გაგახაროთ... (დაუჯერებელი ამბავი, 56, 35).

ღმერთმა ნუ ჰქნას! - სატირლად და სათავცემოდ **ღმერთმა ნუ ჰქნას** საქმე ... (ირმის გადარჩენა, 198, 17);

ღმერთმა კარგად ამყოფოს...(ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 179, 10); **ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!** - **ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!** (ჩაჩნის გოგო, 230, 9); - **ღმერთო, წყალობა გვიქენი** (სოკოს კრეფა, 430, 5); -**ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!** ღმერთო, დიდებულო, ღმერთო!..(ღმერთი, ხატი და დედული ბებია, 420, 25).

ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ! - „**ღმერთმა მშვიდობაში** და სტუმრიანობაში **მოგახმაროთ** / თქვენი მკითხველი“ (მიძღვნა, 219, 31).

ღმერთმა უშველოს! - **ღმერთმა უშველოს ...** (შავი და ცისფერი მდინარე, II, 632,11); - **ღმერთმა უშველოს**, თუ მოგეხმარათ, მაგრამ ჩვენთან რა უნდა, ან ვინ გამოუშვებს?-მკითხა დედამ (უთაური ბიჭის თავგადასავალი, 608,35).

შეარგოს ღმერთმა! - -შენ **შეგარგოს, ღმერთმა**, შვილო, მე ხვალაც აგერ არა ვარ! (ვარსკვლავთცვენა, 386, 8).

ღმერთმა შეარგოთ, მათგან ბევრი აღარ დაბრუნებულა და თითო-ოროლა ჭიქა ცოტა იყო (ვარსკვლავთცვენა, 389, 13); **ღმერთმა შეგარგოთ!** – დაუუქნიე თავი (დაუჯერებელი ამბავი, 57, 3).

ღმერთმა შეგვინდოს ! - **ღმერთმა შეგვინდოს**, თუ ასე მოხდა,/ პასუხი შენ რატომ უნდა გეგო? (სიცრუისა და სიმართლის თაობაზე, 220, 29); **ღმერთმა შეუნდოს** და, აქვს ბიბლია ხუმრობადაკრულად დასურათებული (სიცრუისა და სიმართლის თაობაზე, 97, 17).

ღმერთმა წყალობის თვალთ გადმოხედოს - იქნებ **ღმერთმა წყალობის თვალთ გადმოხედოს** (ლომისა დავეფხვის სანადირო საზღვარზე, 237,1); კესარია: თუ იმათ მხრივ ცუდი არაფერია და **ღმერთმა წყალობით გადმოგვხედა...** (სანამ ურემი გადაბრუნდება 78, 18).

ღმერთმა ხელი მოუმართოს - ღმერთმა ხელი მოუმართოს...“(ცეცხლთან თმაში, 153, 6); იარე, **ღმერთმა ხელი მოგიმართოს** (ია, 252, 25);კაცური კაცია, ბიჭი უნდა გზაზე დააყენოს და **ღმერთმა ხელი მოუმართოს...** (იყო ერთი ქალი, 294, 8).

წყალობა - რომანი: ღმერთო, შეუნდე და არ მოაკლო შენი **წყალობა...**(გასროლა კაჟიანი თოფით, 473, 19); ღმერთი ნუ დაიშურებს შენდობას და **წყალობას** (ღმერთმა ხელი მოგვიმარ-თოს,

224, 11); კესარია: ...დმერთო, ნუ მომიშლი შენს წყალობას! (სანამ ურემი გადაბრუნდება, 69, 39); წყალობას თვისას ნუ მომაკლებს /და სიყვარული ჩემი კვლავაც / ჰყოს სიყვარულად (ხელაპყრობილი ვევედრები, 242, 24).

იცოცხლე! - - დედა, **იცოცხლე!** - მამის შემდეგ ამჯერად ლეონმა დალია (შავი და ცისფერი მდინარე, I, 25, 26); -**იცოცხლე**, ხაზეინჯან! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 170, 12); ჩემო ბებია, შენ **იცოცხლე** დიდხანს! სულ **იცოცხლე!**.. (შავი და ცისფერი მდინარე, I, 68, 11); **იცოცხლე**, გულჩორა, შენი კაი ქმარ-შვილით და თუ მეტი არაფერი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 296, 7); - **იცოცხლეთ...** - ჩაილაპარაკა ნორამაც (შავი და ცისფერი მდინარე, I, 25, 28).

შენი კვნესამე!- მზალო: მაი... დედაისი?! რაისთვი! რაისთვი, **შენი კვნესამე!**(გასროლა კაჟიანი თოფით, 483, 30).

შენი ჭირი შემეყარა - - **შენი ჭირი შემეყარა** დეიდა, ამას უყურებ, ამას შვილო? (ხუმრობა, 186, 7); დედინაცვალი: შენ, **შენი ჭირი შემეყაროს**, არ აღელდე, არ გაბრაზდე (გერი და დედინაცვალი, 640, 9); - შენ გაიხარე, შვილო, რომ იკითხე, ჩამოდი, **შენი ჭირი შემეყაროს**, ჩამოდი! (თეთრი ქალიშვილი, 111, 3).

შენი ჭირის სანაცვლოდ - ვიყო-ოთხი წლის...გადაგდებული... **შენი ჭირის სანაცვლოდ** ვიყო?! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 410, 23). ჯანდაბას, რას დავეძებ, ყველაფერი **შენი ჭირის სანაცვლოდ** იყოს... (შავი და ცისფერი მდინარე, 511, 5).

შენ შემოგველე! - დედინაცვლის ხმა გარედან: ახლავე, შვილო, ახლავე, შენი ჭირიმე, ახლავე, **შენ შემოგველე!** (გერი და დედინაცვალი, 638, 20); არ იტირო, არ იწუხო, ნუ გეშინია, არაფელია, გაგივლის, შენი ჭირიმე და **შენ შემოგველე!** (დედუღეთი, 61, 9); - დეიდა, გენაცვალე, დეიდა, **შემოგველე...**(ხუმრობა, 85, 8); - **შენ შემოგველე**, არაფერი უსაყვედურო, ხომ იცი მისი მდგომარეობა (იყო ერთი ქალი, 350, 13).

თავს შემოგველე - მართას ხმა: მეიხედე, ჩვენო მხსნელო, გაახილე თვალი, შენ **შემოგველოს** ჩვენი უბედური თავი... (ადამიანი იბადება ერთხელ, 38, 3); კესარია: დედა, თქვენ **შემოგველოთ** ჩემი თავი (სანამ ურემი გადაბრუნდება, 95, 4).

ამდენად, ქართულ ენაში ალერსისა და მოფერების ლექსიკა საკმაოდ მდიდარია, და სალიტერატურო ენაშიც მწერლებიც მათ განუზომელი რაოდენობით იყენებენ.

ლიტერატურა:

გრიშაშვილი ი., რჩეული ნაწერები, თბ., 1965, თბ.

ოტია იოსელიანი რჩეულ ნაწერთა თორმეტტომეული, ქუთაისი, 2011.

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1953

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვატომეული, თბ., 1951-1964.

Manana Mikadze. (2021). Georgian and Language Competition in the Diaspora (Emigrant community) . *Language and Culture*, (25), 42–45. <https://doi.org/10.52340/lac.2021.654>

მიქაძე მ. (2023). ქართული ენის ცოდნის შემცირების ტენდენცია ემიგრანტებში (ესპანეთი, ბარსელონას რეგიონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების მაგალითზე). *ენა და კულტურა*, (29). <https://doi.org/10.52340/lac.2023.08>

Manana Mikadze

Akaki Tsereteli state University

Kutaisi, Georgia

Manana.mikadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.09>

SJIF 2024: 8.268

Vocabulary expressing caress and caresses in the works of Otia Ioseliani

Abstract

The synonymous field with the semantics of caressallers is to treat with love, tender feeling, caress and the one who knows allers, who is used to allers, ia allergic (Georgian Dictionary), According to Sul Khan-Saba Orbeliani, allers is interpreted as turning with a word (Orbeliani 1993:23).

In this Semantic field, we discussed caress, caressallers the one who is alerted and to whom it is alerted; The words expressing caress and caresses, which are used in the meaning of caress, pale; also those phrases that are confirmed in this semantic field.

In the article we presented a variety of vocabulary related to caress from the prose of Georgian writer Otia Ioseliani.

Key words: caress, caddle, synonymous field.

რეცენზენტი: პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი